ოქმი:№135. 13524123001
თარიღი:02/05/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №-4

დ. მესტია 26.04. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, ვ, ფილფანი. თ. დადეშქელიანი, ი. რატიანი, ლ. პაკელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, ლ. ქალდანი, შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ბ. კვიციანი, გ. გელოვანი,ი. გირგვლიანი, შ. გულედანი, მ.გელოვანი, მ.რატიანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ქ. ხარძიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის განყოფილების უფროსი თ. გოშთელიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანაშემწე ა. ჩართოლანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, სხდომას ესწრება საკრებულოს 33 წევრიდან 25 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ,,მესტიის მუნიციპლიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2023 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: ქ. ხარძიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ხვისტანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.

– – – –

განმავლობაში ჯამში ერთიანი ელექტრონული საქმიწარმოების სისტემაში ატვირთულია 14377 კორესპონდენცია, სისტემაში ატვირთული 14377 კორესპონდენციიდან, უშუალოდ ადმინისტრაციულ სამსახურს კომპეტენციის ფარგლებში ქმედება აქვს განხორციელებული 6007 ერთეულ კორესპონდენციაზე. იურიდიულმა განყოფილებამ მიიღო 1934 დავალება, რომელთა საფუძველზე გახილული იქნა და მომზადდა 1779 დოკუმენტი. საანგარიშო პერიოდში, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ მოქალაქეთა მხრიდან შემოსული 9 განცხადება განიხილა და უპასუხა სხვა და სხვა შინარსის 25 წერილს.

მოამზადა საკადრო საკითხებთან დაკავშირებული 457 ბრძანება, 22 შრომითი ხელშეკრულება და დაამუშავა 6 თანამშრომლის პირადი საქმე. ყველა მოცემულ საკითხს ასახავდა ერთიანი ელექტრონული საქმის წარმოების ადამიანური რეურსების მართვის მოდულში (HRMMS). განყოფილება კოორდიანციას უწევდა მერიის საჯარო მოამსახურეთა მიერ სხვა და სხვა სასწავლო პროგრამებში მონაწილეობის პროცესს, როგორც ელექტრონულ ფორმატში ისე, რეალურ გარემოში.

მერის წარმომადგენელთა კოორდინააციის განყოფილებას 2023 წელს განსახილველად დაეწერა სულ 922 კორესპონდენცია, რომელთაგან 817 დოკუმენტი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და შეეხებოდა უძრავი ქონების სისტემურ რეგისტაციას. 565 გახლდათ ინფორმაციული სახის, ხოლო 252 დოკუმენტზე მოხდა წერილობითი რეაგირება, მოთხოვნისამებრ. ასევე, განხილული იქნა სხვა და სხვა შინაარსის 105 კორესპონდენცია. განყოფილება, სისტემატურად აორგანიზებდა ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარემომადგენელთა სამუშაო შეხვედრებს, როგორც შიდა ორგანიზაციულად, ისე სხვა უწყებებთან. გარდა საჯარო სივრცეების მატერიალურ-ტექნიკური გაუმართაობისა, ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, საჯარო მომსახურებების ადგილზე მიწოდების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, დასახლებებში არასტაბილური ელექტრო მომარაგება და არასაკმარისი სიხშირის ინტერნეტი. 2023 წლის თებერვლის თვეში, განყოფილება ჩრთული იყო ორგანიზებაში და მონაწილეობდა, სოფლის მხრდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გამართულ დასახლებების საერთო კრებებში.

საზოგადოებათან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებები. განყოფილებების ძირითადი ფუნქცია-მოვალეობაა მერიის კომუნიკაციის უზრუნველყოფა საზოგადოებთან და მასმედიასთან. მათი საქმიანობის მნიშვნელოვან წილს შეადგენს: მერიის ოფიციალური ვებ გვერდის-mestia.gov.ge ადმინისტრირება;ოფიციალური სოციალური (ფეისბუქ) გვერდის ადმინისტრირება და მართვა; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ყოველთვიური საინფორმაციო გამოცემა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანი--ტექნიკის შეძენაში რა იგულისხმება.

ქ. ხარძიანი--იგულისხმება კომპიუტერი და საოფისე ტექნიკა, რათა ადგილზე მოხდეს მოსახლეობის მომსახურეობა.

შ. ცინდელიანი -- შუალედური პასუხი თუ ეგზავნებათ განმცხადებლებს.

ქ. ხარძიანი--კანონიდან გამომდინარე როცა მეტ ვადას ითხოვს საკითხი იგზავნება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპლიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2023 წელს შესრულებული საქმიანობის შესახებ“.
განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135241178 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ხვისტანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.
მომხსენებელმა განმარტა, რომ შემოსულია საკრებულოს წევრის გიორგი ხვისტანის განცხადება საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა:
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------25
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ხვისტანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135241173 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ სოფი ფარჯიანის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე უარის შესახებ“.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გაეგზავნა მომართვა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, მომართვაში მოთხოვნილია ინფორმაცია უწყებაში დასქმებული მოქალაქის - სოფიო ფარჯიანის შესახებ. საკრებულოს თანამდებობის პირის სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს ,,ადგლიბრივი თვითმმართველობის კოდექსით და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: მ. ჯაფარიძე-- როგორც მომართვიდან ჩანს სოფი ფარჯიანი მუშაობს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის N9 სამმართველოს (მესტია) N3 სასაზღვრო სექტორის (გუმაჩი) სპეციალისტის (ოპერატორი) თანამდებობაზე. ფარჯიანის კანდიდატურა თანამდებობრივად შეითავსებელია საქართველოს კანონიდან გამომდინარე უარი ეთქვა. რადგან სიით მომდევნო ქალი არ არის უქმდება მანდატი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------25
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ სოფი

ფარჯიანის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე უარის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-135. 135241175**თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ა. ჩართოლანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა ისაუბრა პროგრამის შესახებ, აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და მუნიციპალური ინსპექციის სამსახური, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური, ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ფალიანმა-- მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული და ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა ითვალისწინებს არსებული ავარიული ან/და დაზიანებული საცხოვრებელი სახლების, სვანური საცხოვრებელი სახლების (მაჩუბი), სასაქონლე შენობების (გარდა ხით ნაშენისა) და სვანური კოშკების, აგრეთვე ახალაშენებული შენობების, მათ შორის კომერციული ფართების გადასახური მასალით (თუნუქი, ყავარი) დახმარებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------25

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №-გ-135. 135241174 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით შპს „მესტიაჭალა ენერჯისთვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნისნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს ,,მესტიაჭალა ენერჯის" (ს/ნ: 405539252) განაცხადი, რომლითაც მოთხოვნილია, „მესტიაჭალა 1“ ჰესისთვის დაბა მესტიაში მდებარე მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით გადაცემა. გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთები ს/კ: 42.06.53.099; 42.06.53.098; 42.06.53.097; 42.06.53.095; 42.06.53.094; 42.06.47.818; 42.06.47.817 წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამოირიცხა და მესტიის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოეცა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთები, ჯამში 14 731 კვ.მ.

მიწის ნაკვეთების წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს 36 830 (ოცდათექვსმეტი ათას რვაას ოცდაათი) ლარით, შეფასების დასკვნის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: კ. ჟორჟოლიანი-- სექტემბრის თვეში აღნიშნულ შპს

გადაეცა 14 ნაკვეთი, ჰესის ფუნქციომირებისთვის აიცილებლობას წარმოადგენს ამ ნნაკვეთების გადაცემა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ პროექტს.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლებით შპს „მესტიაჭალა ენერჯისთვის“ აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №:g-135. 135241176 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი